¹⁾ მათ. 25, 35 და 40. ²⁾ რავდენათ ბევრი.

შენ მიერ, რომელმან არავის წარუწებიდა სას-
უდელი ერთისაცა სასმელისა წელისა გრი-
ლისა!!“ შენდა შეტნის დიდებად უკუნითი უკუ-
ნისამდე.

თხოობა ჩუ

მოწყალებისა შემნანებელისა თჯს

Կაცი ვინმე იუო კოსტანტინუპოლის ფრი-
ად მდიდარი. საღმობიერ¹⁾ იქმნა დ განწი-
რელ²⁾ მკურნალთავან. დ შეეშნა სიკუდილი-
საგან დ მისცა მოწყალება გლასავთა ოც-დ-
ათი ლიტრა ღჭრო. დ მოწყალებისათჯს
მისისა განმრთელდა კაცი იგი. დ მერმე იწყო
შენანებად, ვითარმედ ცუდად წარკაგე ღჭრო
იგი, დ ინანდა მოწყალებისათჯს. დ მიუთხოა
ესე მოუგასსა თჯსსა სხუასა ვისმე მდიდარსა.
ხოლო იგი ეტყოდა მას: „ნუ შეიწყნარებ,
ძმაო, განზრახუასა მაგას ბოროტისა ეშმაკი-
სასა, რათა არა გაჩარისხო ღმერთი, ადმად-
გინებელი შენი მოწყალებისა მისთვის“! ხო-
ლო იგი არა უსმენდა მას, არამედ უფროსდა

¹⁾ ავად გახდა. ²⁾ უიმედო.

რისხვდა დ დოტკნიდა¹⁾ მოწყალებისათჯს.
მერმე ჭრქუა მას მეგობარმან მისმან — უკეთუ
სიტუაცია ჩემთა არა ისმენ, მმარ, მე გრქა
შენ მეორე განზრახუა. ხოლო მან ჭრქუა
რომელი? დ კითარ მიუგო ჭეშმარიტმან მან
მოწყალემან „წარმოვედ ჩემთანა ეპკლესიად
დ სთქუ „არა კარ მე, უფალო, მოქმედი მოწყალებისა,
არამედ ესე არს დ მე მოგცე შენ
ოც-დ-ათი ლიტრა იგი ოქრო“ დ მან აღუ-
თქუა უოფად. დ მივიდენ ეპკლესიად დ კელად
მიიღო ოც-დ-ათი ლიტრა ოქრო, დ სთქუა
„მე არა კარ, უფალო, მოქმედი მოწყალებისა,
არამედ ესე არს“. ხოლო ჭეშმარიტმან მოწყალემან სთქუა „ამინ!“ დ მოვიდა რად იგი ვიდრე
კარადძე ეპკლესისა, კელთა შინა თჯსთა ოქ-
როსა მტკრთგელი დაცა დ მოვუდა. დ მენ
უოველნი მხილველნი მისნი შიშმან დ ძრწოლა-
მან შეიბყრა დ ადიდებდეს მართლა მსაჯულე-
ბადსა ლმრთისადსა. ხოლო მონანი იგი მკუ-
დოისანი ეტუოდეს ჭეშმარიტსა მას მოწყა-
ლესა „მიიღე, უფალო, ოქრო ესე შენი, რა-

¹⁾ შფოთავდა, ჯავრობდა.

მეთუ იგი მოკუდა. ხოლო მან ჭრქუად — ნუ იყო-
ვინ ჩემდა, ნუცა გონებად მოსლუა¹⁾ მაგი-
სი, ოამეთუ ჩემი იგი პირველ ჭმილი მოწყა-
ლება არს. ხოლო მაგისია ეგე თქო. და უკე-
თუ გნებავსთ სარგებელი უოფა მაგისი, ამ
თქოცა ეგე მიეცით მოწყალებად სულისა
მაგისთვის. და ღმერთი ჩემინი კაცთ მოუკარე
არს და შეიწყალებს მოწყალებისა მიერ და
განსწორებს ბრალისაგან, ოამეთუ თვთ იტ-
უკის „მიეცით მოწყალება და აპა თქული
უოველი წმინდა არს“, ოომელსა ჭნებავს
უოველთა კაცთა ცხოვრებად და მისი არს და-
დებად უკუნითი უკუნისამდე.

თხრობა ჩტ.

თავისა თვისისა გამსყიდვლისა და მოწ-
ყალებად მიცემისა თვის.

ტრიკეთს ფირგზსასა იყო გინმე პეტ-
რე მდიდარი, და დიდად უწყალო, და არა სადა
შეწყალა გლახავი, და არცა ჯენდა ხსენება

¹⁾ გულშიაც-კი არ გავიტარებ მაგ პაზრისაო.

ღურთისა ეკვლესიასა შინა, და არა ისძენდა
გლახაკთაგან თხოვნასა წყალობისასა. ხოლო
სახიერმან დაცუ მოუკარემან ღმერთმან, ორ-
მელსა არა ნებავს სიკუდილი ცოდნლისა, არა-
მედ მოქრევა და სინანული, ორმლითამცა
მსჯავრითა უწევს თვთოვეულისა ცხოვრებად,
ამისთვისცა ესე გითარი განგებად ჭერა: **ზღესა**
ერთსა ისხდენ გლახაკნი მცირედნი უბანთა
ზედა, და იწუეს ქებად მოწყვალეთა კაცთა და
შეკედრებად ღურთისად, ეპრეთვე უწევალოთა
ჭირობდენ. და მოვიდა სიტყუად ჰეტრემდეცა,
რამეთუ უწევალო არს იგი სრულიად. ხოლო
ერთი მათ გლახაკთაგანი იტყოდა კითარმედ
მე მოკილო მისგან წყალობად. და ჭერებს ურ-
თიერთარის ცილობად და ინებეს გამოცხადებად
ამისი. და წარგიდა ერთი იგი მათგანი და
დასდგა კარსა სახლისა მისისასა. და მოვი-
დოდა ჰეტრე წისქვლით და მოაქუნდა ფქვლი
გარაულითა¹⁾. და იხილა იგი გლახაკმან, თა-
ვისნი სცა და იწუო თხოვად მოწყვალებისა და
წადიერად²⁾ ჭლოცვდა. ხოლო იგი განრის-

¹⁾ სახედარი. ვირი.

²⁾ მოწიდინებით, მდომით.

სხა დ გერა ჭილა ქება, აღიღო შური ერთი
 დ სტეორცა შირსა გლახავისასა. ხოლო მან
 აღიღო პური იგი დ მივიდა მოუკასთა მი-
 მართ თჯსთა დ ეტეოდა. „აქა თჯო კელი-
 სა მისისაგან მოვიღე ესე“. დ შეაკედრებდა
 ღმერთსა რომელი მოწყელე არსო. და მცი-
 რედ მცირედ მის შურისაგან უოჭელთაგე მი-
 ღეს დ იტეოდეს „ღმერთო, აცხონე პეტრე“.
გა მეტესეულედ დფესა მეორესა დაეცა პეტ-
 რე სენითა სასიკუდინოთა — გნინდა დ არა
 დაშთა სული მისი მის თანა. დ მოვიდეს ცნ-
 გელოზნი საშინელნი ძიებადდ გეთილთა საქმე-
 თა მისთათა. დ გერა რაოსა ჭილებდეს, რაოთამცა
 შესწორათ ბოროტისა თჯირ ერთისა
 მის შურისა, რომელი მისცა გლახავსა, დ იგი-
 ცა უნებლიერ. დ ჭილებ მას ცნგელოზთა
 „წარუედ უკუტო, პეტრე, დ შესძინე სხეულეცა
 მოწყელება შურსა მას, რათა არა წარგიეუ-
 ნონ შენ ბნელთა ეშმაკთა დ შთაგაგდონ სა-
 ტანკელსა საუკუნესა, რამეთუ სასკელი
 უწყელო არს მათთჯი, რომელთა არა ჭილი
 წეალობად“. ძაშინ მიეგო გულედ სული მის
 გვამსაცე თჯსსა დ მიერითგან იქმნა მოწყე-

დ. დ განუკინა უოგელთავე დაკრდობილთა
მონაცემი თვისი, დ განათავისუფლება მონაცემი
თვისი. დ ჭრქუად ერთსა მონაცემი თვისისა ვითარ-
მედ „მორჩილ მექმენ მე დ, რაცა გრძება,
აგრეთ ჰყავ. მომეც მე ფიცი, რათა აღასრუ-
ლო აღთქმული ჩემი. წარვიდეთ იერუსალიმში
დ თაუკინის გსცეთ ცხოველს მუოველსა სავ-
ლავსა დ წმიდადსა კნებადსა უფლისად ჩემინისა
იქსო ქრისტესა. დ მუნ განმეოდე მე დ სას-
უძღელი ჩემი განუკინ გლახაკთა დ იყავ შენ
თავისუფალ!“ დ წარვიდენ იტრუსალიმში დ
თაუკინი სცეს წმინდათა ადგილთა. დ მიწურდა
პეტრე მონაძენ კაცსა, კისმე ღმრთის მოშიშსა,
რომელსა ერქვა ზოილე. დ ფასი მისი გა-
ნუკინ გლახაკთა ბრძანებისამებრ მისისა. დ
შეკინა პეტრე სამზარეულოსა უფალმან მის-
მან, ზოილე, დ ჭყოფდა მსახურებასა კეთილდ.
ოდესმე გენახსია შეშაკობდა დ სხვადთაცა უო-
გლითავე მსახურებითაცა გულს სმოდგინედ
ჭმონებდა უფალსა თვისსა. დ სტანჯკიდა
მოღუაწებითა კორცოთა თვისთა განუსენებუ-
ლად, კიდრემდის ღმერთი გამოაცხადებდა საჭმე-
თა მისთა კეთილთა. შემდგომად რაგდენისამე ჟა-

შისა, მოვიდეს აჭრიკეთითგან სტუმარნი დასხდეს სერობაშდ¹⁾ ზოილეს თანა. სოდო პეტრე მსახურებდა და მოიღებდა საჭმელთა. დაცოთა მათ სტუმართა იცნეს იგი. და იწყეს თქმად „ჭეშმარიტად ესე არს პეტრე, ქალაქისა ჩუცნისა სიმდიდრით განთქმული. და იტუოდეს, კითარმედ ამან მრავალნი თჯსნი მონანი განათავისუფლნა და სიმდიდრე თჯსი გლახაკთა განუუღ, — და მიერიაიგან არავინ უწევის თუ სადა წარვიდა“. სოდო პეტრე სდგა გარე კართა და ისმენდა სიტუუათა ამათ. და კინადგან გამოსცხადდა, მსწრაფლ განვიდოდა. სოდო იუო მეკარე ურუ და უტუკ, რომელ წამის უთვითა ღდენ განახმიდა კართა და დახშუდა. ჭრქუა მას პეტრე „განმიღე მე კარი, ძმაო!“ და ესმა ურუსა მას სიტუუაშ პეტრესი და მუას განუდო მას კარი. და განვიდა სრბით²⁾ პეტრე, რომელ იკლიოდა პატივისაგან და დიდებას კაცოთასა. სოდო მეკარე იგი მსწრაფლ მირბიოდა უფლისად თჯსისა ღაზადებდა და იტუოდა კითარმედ „პეტრე, მონა ღმთისად, განვი-

¹⁾ ვახშმად.

²⁾ სირბილით.

დაჩუტრენგან! და მან მოქვა მე სახელითა უფლისად
ჩუტრისა იშსო ჭრისტესითა გეტუკ, შენ, განმი-
ხვენ კარნი! და ამა გიხილე მე აღი მსგავსად ცეც-
ხლისა, გაძომავალი პირით მისით. და შემეხო
უურთა და ენასა ჩემთა. და მაშინვე მესმა გმად და
გიტულდა მეცა მადლითა მისითა და იგი გან-
გიდა“. სოლო იგინი სდევნიდეს უკანით და მოს-
წრაფედ ეძიებდეს მას და გერლარა ჭიდებეს იგი.
და განკურებულნი დაიდებდეს ღმიურთსა, რო-
მელსა შეტრის დიდებად უკუნიოთ უკუნისამდე-

თხოვთა ჩუ.

ტიდისა მეფისა კონსტანტინეს თვს.

ჰოგვთხრობდა წმინდთაგანი გინმე, გი-
თარმედ წარკედ ლდესმე პაისიოს განშორებუ-
ლისა მიმართ ლოცვსა და სამღოთოესა სწავ-
ლისა მისისა მოღებისათვს. და კითარა მივეახ-
ლე ქვაბსა მისსა, მესმა შინათ გამო ზრახუა კი-
სიმე მისთანა. და, გელოდირად უმეტეს ჟამისა და
არავინ გამოკიდა, კსოვებულ წესისამებრ მონაზონ-
თას: (ზოცვთა წმინდათა მამათა ჩუტრითა-

თა, უფალო იქსო ქრისტე ღმერთო ჩუბნო
შეგზუდაენ ჩუბნ. „ამინ!“ დ
შერავედ შინა არავინ ვიხილე, გარნა მსოფლიდ
წმინდაში იგი ბერი დ განვეკრდი, დ ვეავ რამ
სიუგარული. დ მოვიღე სარვებელი სულისა
ღუთივ მოცემულითა სწავლითა მისითა, მერ-
ძე ვპითხე მას დ გარჯუ „ვინ იყო, ღვთივ
შემოსილო, მამაო ჰატიოსანო, შენთხნა, რო-
მელი ზრასული? გარე დგომასა ჩემსა მესმო-
და კმია მისი“. სოფლო მან ჭრქუამ — ვგონებ-
დი, ღუთივ სულიერო შვლო, ვითარმედ არა
გიცნობიეს, დ, ვინათგან ღმერთმან გამოგიცხა-
და, არცა მე დაგივარო: იგი იყო, შვლო, დიდი დ
კეთილმორწმუნე მეფეთა შორის ბონს-
ტანტინე. ზეცით მოვიდა ჩემდა მოწყინებული-
სა ნუგების ცემად დ იტუოდა „არა უწყოდიო
თუ ესოდენი ჰატივი მოეცემოდა მონაზონთა
სასუფლებელსა ცათასა, რომელთა ჭრისტეს
სიუგარულისათვის უოკელი მონაგები მათი
მისცეს გლასაკთა დ თვით ნებსით¹⁾ დაგლა-
ხავნეს. უკეთუმეცნა ესე, ვითარი დიდება მათი

¹⁾ თავისის ნებით.

დამეტევებიამცა მე მცირე უამეული მეფობად ჩე-
მი და გრიგორი, და პორფირი, და სკიპორი, მიმეცა
გლახავთა და შეკვდგომილგიუან ცხოვრებადსა
მონაზონთასა“. ხოლო მე მიუგე მას და კა-
რქუ—არა მოგენიჭა შენ, უფალო ჩემო,
ზეცათა მეუფესაგან დიდებად და პატივი, რო-
მელი განუმზადა წმინდათა თჯსთა მართლისა
სარწმუნოებისათვს და კეთილ მსახურებით
მეფობისა შენისა?“ და მან მრაჭა „და მოცე-
მულ არს ჩემდა დიდებად და პატივი, გარნა მონა-
ზონთა ესე აჭერთ უმეტესი, პატივი რამეთუ
ფრთენი ასხენ ღვროს ფერი და აღფრინდებან და
რომელთაცა საკანეთა ჭრებავსთ, მიუღებ და თჯთ
თავადისა ჭრისტესა მიიწევდან“. ხოლო მე
კარქუ მას—ღირს არს და მართალ, უფალო
ჩემო, ესე დიდებად ჭრებარიტია მათ მონაზონ-
თა თვს. ჯერ შენ ამასცა სოფელსა შინა მეფობ-
დი და შარავანდედითს¹⁾ პალატესა შინა ბრწყი-
ნებალედ იხარებდი, და ჭრელის საჭმისა თჯს-
ცა შენისა, მიგიღიეს ცათა შინა, გრიგორი
უოსჭნო²⁾ და საუკუნო დიდებად. ხოლო მათ

¹⁾ უუბრწყინვალესი. ²⁾ დაუსრულებელი.

უობელი ხებად კორციელი დაუტესის და მონაგები მათი მისცეს გლახევთა; სოლო თუთ ნაკლებლევანი, ჭირვეულნი, ძარი სიღულნი რომელთა ღირსება არა იყო სოფელი ესე. არამედ ნაპრალთა კლდისათა და სურელთა ქუშებანისათა დაითმინეს შიმშილითა და წყურვილითა და შიშლოებითა". სოლო ამას რამ კიტეოდი, ღვთის სლიერო შკლო, შენ სთქუ დოცებად იგი, აღზიდა ყეცად და შენ შემოსუშლ აქა. ესე ამისთვის სათხო იჩინა კაცი მოუკარებან დმერთმან, შკლო ჩემო საკურალელო, რათა უმეტესად დაგმდაბლდეთ და კეთილ გონიერებით გიღგწიდეთ. და ძალისებრ ჩუმბნისა მოწყელებადსა კიშმოდეთ, და არა დაკაკლდეთ დიდებადსა მისისა, რომელი განუმზადა იმერთმან მოუკურეთა მისთა, რომლისა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე.

თხრობა ჩ. ჩ.

ცეოდოსი მეფისა თვს.

ბიდი თეოდოსი¹⁾ მეფე ფრიად მოსურ-

¹⁾ რომის იმპერატორი 379—395 წ. ქრისტეს შემდეგ.

ნე იურ მონაზონთა და დიდად მოწყალე. ჩე
წარვიდა ოდესიმე მოხილუად მონასტერთა და
თავკანის ცემად თჯთოეულთა მონაზონთა, რა-
თა მათგან ლოცუა მოღონს. და ვითარცა მი-
მოვიდოდა წმინდათა ადგილთა, ისიდა შორით
სენაკი ერთი მთასა შინა. და დაუტევნა უო-
გელნი ერნი. და მივიდა თჯსად მხოლოდ მე-
ფი და ურეკა კარი მონაზონსა მას. ხოლო მან
განუხეხა და კერ სცხა თუ ვინ არს და შეიწ-
ებარა, ვითარცა ერთი მხედარი. და ვითარ შეკი-
და მეფე, ჰერ ბერმან ლოცუა დასსდენ. და
იწყო მეფემან ვითხედ, „ვითარ კეთილად
იყოფიანა მამანი ამის მთისანი, პატიოსანო
მამაო!“ ხოლო მან ჭრჭეად: — უოკელნი
ეპედრებიან ღმერთსა ცხოვრებისათვს შენისა,
ღუთის მოუკარეო, უფალო ჩემო, და უოკელ-
თა მართლ მადიდებელთათვს. და კუალად
ჭრჭეად ბერმან „გვსკამოთ, უფალო ჩემო, მცი-
რედ სიკარული“.¹⁾ და მოართეა მას თჯის პუ-
რი და მარილი, და მსალი უმგბარი²⁾ და წყა-

¹⁾ ვიაღაპოთო, ნიშნად სიყვარულისა ქრისტესთვს,
ერთათ ვსჭამოთო პური.

²⁾ მოუხარშელი.

ლი. დ სწამდეს რად იგინი, ჭრჭუად მეფემან „მი-
ცნობ მეა, მამაო პატიოსახო, თუ ვინ ვარ
მე?“ — ხოლო მან ჭრჭუად — ღმერთი გიცნობს
შენ, უფალო ჩემო! მაშინ ჭრჭუად მეფემან „მე
გარ მეფე თეოდოსი!“ დ მეუესეულად თაუეანი
სცა მას ბერძნენ დ ჭრჭუად — შემინდევ, უფალო,
ჯერ არა ვიცოდი. ჭრჭუად მას მეფემან „ნეტარ
თქუცხნ ნებსით¹⁾! გლოსაკთა ჭრისტეს სიუგა-
რულისათვის! ქეშმარიტად მეფობადესა შინა
გშობილვარ დ არა სადა ესრეთ ტკბილად პუ-
რისა გემო გიხილე, არცა წყალი ვსკ, ვითარ-
ცა დღეს შენთანა ტკბილად ვსწამე დ ვსკ,
წმინდაო მამაო!“. ხოლო ჭრჭუად ბერძნენ — ვინა-
დგან ჩუცნ გლოსაკნი მონაზონნი უოგელსა სა-
კმელსა ჩუცნსა ლოცვთა ვუოფთ, უფალო
ჩემო, მისთვის ტკბილ არს უნდო ესე საჭ-
მელი, — დ მადლობით თაუეანის ვსცემთ ვაცო
მოუეარებადესა ღმრთისასა, რომელი აღაღა-
დებს კელსა თვისსა დ განაძლებს სიტკბოე-
ბითა. ხოლო მეფემან მისცა მას მოწყალებად დ
ჭრჭუად „ლოცვა ჭყავ ჩემთვის, წმინდაო მამაო!“ დ

¹⁾ ოქუცნის ნებით.

წარვიდა და მიერითგან პატივს ჰსცემდა ბერსა
მას ქუელის საქმითა. დიდებად ღმერთსა, რო-
მლისა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე.

თხრობად ჩ. ნ.

მეფის ზენონისთვს.

თევე ზენონ იურ კარი ფრიად მოწყა-
ლე და მარადის ქუელის მოქმედ გლახავთა მი-
მართ. ხოლო ქურივსა ვისმე ასული მისტა-
ცა იძულებით მხეკლად თჯსად. და შეგიდა
ქურივი იგი ტაძარსა შინა ღურთისასა. და მხე-
რვალედ ეგედოა უოვლად წმიდასა ღმრთის
მშობელსა, ცრემლით მეტუუშლი „დედუფალო
უოველთა დაბადებულთა! შური¹⁾ აგე ჩემთვს
მეფესა ზენონს“. ხოლო ამას ვედრებადსა ჭუოვ-
და მარადლე. დაუცხრომელად შესციროდა ცხა-
რითა ცრემლითა ღმრთის მშობელსა. და გამოე-
ცხადა მას უოვლად წმიდა ღმრთის მშობელი
დედა იგი მოწყალისა ღურთისა და ჭირქუად „გრწმე-
ნინ ჩემი, დედაკაცო, რამეთუ მრავალ გზის ვინებე

¹⁾ შენ გაეცი ჩემ მაგიერი პასუხი ზენონსათ.

შურის გება შენ წილ ცრემლთა შენთათვს,
გარნა პელი მისნი მაუნებელ მე, რამეთუ
არს იგი მოწყალე ფრიად, და ვითარცა წყარო,
ეგრეთ განვალს კელთა მისთაგან მოწყალებად.
და არა ვის ძალუმს მოწყალესა კაცსა ზედა ძა-
რის ჭიოფად“. იხილეთ, კ ძმანო, ძალი მოწ-
ყალებისა! და გულის ხმად ჭუავთ სიძალლე სა-
ზომისა მისისა, რომლისა მიერ იდიდების
II მერთი უკუნითი უკუნისამდე.

თხრობა ჩ.

თუ ვითარ მოწყალებისა მოქმედი შვდ
წილად მიიღებს.

უკა კაცი ვინმე მდიდარი. და განიზრა-
ხდა რა კეთი, რათა უმრავლესი შევიძინო?
და კელად მიიღო სიბრძე სოლომონისი. და,
განაღო რა წიგნი, აღმოიკითხა ვითარმედ „რო-
მელი სწყალობდეს გლახაკსა, ავასხებს იგი
ღმერთსა“ და შეულ¹⁾ წიგნი იგი და მისცა მსა-
ხურსა. და რქეა „გინ იპოოს უსარწმუნოესი

¹⁾ დაკეცი.

მუჟთისად, უკეთუ გსწუალობდე გლახავთა?!“
 მაშინ უოველისე განუერ გლახავთა, ოომელ
 არა რამ დაიმჭირა¹⁾ თავისა თვისისა თვ-
 ნიერ ოდენ თხით დრაპეანი²⁾ სამეტეორ დ
 საგრავნელისათვს³⁾. სოლო დაგლახავნა⁴⁾ იგი
 ფრიად და არცა ერთი ვინ მიაგო ნაცემალი. დ
 კითარცა გარდახდეს რაოდენიმე ქამი და შეს-
 ჭირდებოდა⁵⁾ კაცსა მას, უკრისსკნელ სთქუა
 გულსა შინა თვსსა „წარვიდე უკუც იტრუსა-
 ლიმს Օრივლისა მუჟთისა ჩემისა და სამართა-
 ლი მოვსოსოლ ჭას სიგლახავისათვს ჩემისა,
 ოომელ მამაცთუნა მე და განვაბნიე სიმდიდრე ჩე-
 მი“. მა კითარცა მოვიდოდა იტრუსალიმს, იხი-
 ლნა თრინი კაცნი რომელნი იბრძოდეს ურთიერთ-
 არის. და მან ჭრქუად მათ „რამსა იბრძოთ, მმანო,
 ურთიერთარს და ილალვით“⁶⁾ სოლო მათ ჭრქუცს

¹⁾ დაიტოვა.

²⁾ რომაელების ვეცხლის ფული იყო, რომელიც 269
 წ. ქრ. წინ. ფასობდა როგორც რუსული 15 კ.
 ხოლო 207 წლიდგან ქრ. წინ გაჩნდა ოქროსაცი
 და ლირდა ათ ვეცხლის დრაპეანადა.

³⁾ სახვეველი, სუდარა გინა ვარშამანგი.

⁴⁾ გაღარიბდა.

⁵⁾ უჭირდებოდა უარესად,

⁶⁾ შუღლობთ, სიტყვით იბრძვით.

მას „უფალო! ქვა ესე კვიეთ ჩუბნ დ არა უწუთ თუ რამ არს? დ გიცილობით ჩუბნ ამას ზედა“. ხოლო მან იხალა სიკეთე ჭისა მის ჭრქუამ „ძლიმეცით მე, მმანო, ეგე დ მიღეთ ოთხი დრაჭკანი დ მშედლობით იუბნით უათერთარს“. ხოლო მათ სისარულით მისცეს ქვა იგი. დ კითარცა შეკიდა იტრუსალიმად, უჩემნა თქრომჭედელსა ქვა იგი. დ მან, კითარცა ისილა თვალი იგი პატიოსანი, ჭრქუამ მას „სადა ჭილე შენ თვალი ესე პატიოსანი? რამეთუ აჭა ესერა სამი წელი არს, გინადგან დიდსა ურგასას¹⁾ შინაარს უოკელა იტრუსალიმი ამისთვის! რამეთუ ესე იგი თვალი არს, რომელა უსსდა ომოფერსა²⁾“ ნარონ მღუბდელ მთავრისასა. არამედ წარგედ დ მიართუ ეგე პატიოარსსა დ უკუტზად გამდიდ რდე შენ“. დ კითარცა წარგედოდა კაცი იგი ტამრად, ცნგელოზი უფლისამ დაადგრა პატიოარსსა დ ჭრქუამ: „ესე რა მოვალს შენდა კაცი დ აქეს

¹⁾ დიდი მწუხარება.

²⁾ ეპიზკოპოზთა მთართ მოსახვევია წირვის უამსა ურომლისოთაც ვერავითარს წეს საღმრთო მსხურებისას ვერ აღასრულებენ. ეგია ნიშანი წარწყმედულის ცხოვარისა, რომელიცა მოიპოვა და აღისვა მხართა ზედა. ლუკ. 15, 5.

მას თვალი იგი პატიოსანი, ოომელი წერ-
წყმედულ იყო შესამოსელთაგან ზეარონისთა.
მიღე იგი და მიეც მას ოქონ და გეცხლი
და ქანი პატიოსანი, რაოდენიცა უხმდეს.
ამხილე მას და არქე³⁾ ნუ ორგულებ გულსა ში-
ნა შენსა, ნუცა ურწმუნო ხარ ღმრთისად, კი-
თარმედ „ოომელი სწყალობდეს გლახაკა,
იგი ავასხებს ღმრთისა“. მოვიდა კარი იგი
პატირიარხისა და მისცა მას პატირიარხმან
რაოდენიცა რამ უხდა. და მიღე თვალა იგი უოვ-
ლად პატიოსანი. ამხილა და ჭრჭედ „ნუ ორ-
გულობ გულსა შინა შენსა, ჲ კაცო! და ნუ-
ცა ურწმუნო ხარ ღმრთისად, რამეთუ აწა ესე მო-
გცა შენ ღმერთმან შედ წილად სიმდიდრე შე-
ნი აქა, და მას საუკუნესა ცხოვრებად საუკუნო
იტისოს ქრისტიეს ძიერ, ოომლისა თანა არა არს
სიცრუე, არცა წმიდათა წერილთა, არამედ უოვ-
ლად კეშმარიტებად! დიდებად განგებულე-
ბადსა მისისა უკუნითი უკუნისამდე.“

³⁾ უთხარ, ამცენ, შეაგონე.

ტერობად ჩტ.

ვითარმელ გლახაკთა მიმცემი მრავალ წილად მიიღებს.

უკა კინძე დედაკაცი ქრისტიანე, ორმელსა ჰყენა ქმარი წარმართი. ხოლო იუნეს თრინიგე გლახაკ და აჭვნდათ პეცხლი¹⁾ კითარ თომოც-ჭ-ათი ღდენ. და ჭრჭუამ ქმარმან ცოლია თჯისსა „მივსცეთ პეცხლი ესე აღნადგინებადდ²⁾, ოამეთუ უკეთუ ერთად შევსჭამოთ უღველიგე, არღარა დაგვიშთეს იგი“. და მიუგო პეთილმან მან დედაკაცმან — უკეთუ გნებავს მიცემად აღნადგინებადდ, მიეც ეგე ღმერთსა ქრისტიანეთსა. „ და ჭრჭუამ მას ქმარმან „სადა ას ღმერთი ქრისტიანეთა, რათა მივსცე მას აღნადგინებადდ“. ხოლო ეტერდა მას დედაკაცი — მე გიჩვენო შენ იგი, უკეთუ მისცე მას ვახშად³⁾, ოომელი არა წარსწუმიდო, არამედ

¹⁾ ანუ სიკილი უუძველესი ებრაული ფული ვერცხლისა=50 კ. საღმრთო და საერო=25 კ., ერთ გვერდზედ გამოქანდაკებული იყო სამოსელი პარონისა, შეორებზე ლაკანი მანანადთა; ოქროს სიკილი=7 მან.

²⁾ ვასარგებლოთო მომეტებულის სარგებლით.

³⁾ ვახში — ვალის სარგებლის უწესო სარგებელი. საბას ლექსიკ. 101 გვ.

უმეტესად მოიღო შენ“. ხოლო მან ჭრქუად „წარკდეთ, მიჩვენე დ მივსცე მას აღნადგინებად“. დ მან წარიყვანა ეპელესიასა დ უჩვენა გლასავნი დ ეტუოდა „მიეც ამათ პეცხლი ებე დ ლძერთმან ქრისტიანეთამან აღიხუნეს¹⁾ ეგენი ამათგან, რამეთუ ესე უოპელნი მისნი არიან“. ხოლო მან სიხარულით განუეც გლახავთა უოპელიგე ორმოწ-დ-ათი იგი პეცხლი დ წარკიდნენ სახიდ²⁾ თვისად. დ შემდგომად სამთა თუშტა არა რამ დაუშთა, ორმელიცა სჭენდა მათ საზრდელი. დ ჭრქუად ქმარმან „ჯ დედაკაცო! არა ჭნებავსა აწ დმერთსა ქრისტიანეთსა მოცემად ჩუშტნდა კახშისაგან ჩუშტნგან მიცემულისა?! რამეთუ არა რამ გვაჭუს ჩუშტნ საზრდელი“. ხოლო მან ჭრქუად — წარკედ, სადაცა ავსეხე მას, დ მოგცეს შენ, რაცა გიხმდეს³⁾ დ გმა გმეულს ჩუშტნ“. დ წარკიდა იგი პეცხლი სიად, სადაცა პეცხლი განუეც გლასავთა თვის. დ მოკლიდა უოპელსა გარემოსა ეპელესიასა დ პერაგინ იხილა მიმცემელი მისდა

¹⁾ მიიღოსო. ²⁾ სახლში, შინ.

³⁾ ავალე. ⁴⁾ რავდენიც გეკუთვნის.

გასშისა, გარნა ერთი ლდებ გლახაკი მჯდომარე. დ ენებამ თქმად რასსებუ მისდა მიმართ გამოძიებად. დ იხილა წინა ფერსთა მისთა მარმარილოსა ზედა მდებარე გეცხლი ერთი. აღიღო იგი დ წარვიდა სახიდ თჯსად. დ ჭრქუად ცოლსა თვისისა გითარმედ „წარვედ ეპელესიად თქუცხნდა, გრწმენინ ჩემი, დედაკაცო? პერა გიხილე მე, გითარცა მეტყოდი, ღმერთი ქრისტიანეთა“ დ არცარა მომცა მე, გარნა ერთი გეცხლი გიხილე მდებარე, სადაცა განუყავ მათ ორმოც-ჭ-ათი“. ჟაშინ ჭრქუად მას ბრძენმან მან დედაკაცმან — 1) არს, რომელმან უხილაკად მოგცა შენ, რამეთუ უკილაკი არს ღმერთი დ უკილაკითა სალითა განაგებს სოფელსა. არამედ წარვედ, უზალო ჩემო, დ მოიყიდე მაგით საზრდელი ჩუცნდა, რათა გისეროთ²⁾, დ გუალად მანკე მოგცეს შენ“. ხოლო იგი წარვიდა დ მოიყიდა გეცხლითა მით პური, ღვნო დ თევზი. დ მოიღო³⁾ დ მისცა ცოლსა თჯსა. ხოლო მან აღიღო თევ-

¹⁾ გჯერამს ჩემი.

²⁾ ვისაღილოთ, ანუ ვივახშმოთ.

³⁾ მოიტანა.

ზე დ განაღო¹⁾ მუცელი, დ ჭრება მას შინა
ქვა დიდი დ პატიოსანი. დ კრა სცნობდა თუ
რამე არს? დ შეინახა იგი. დ მოვიდა რა
ქმრი მისი, უჩუშნა მას ქვა იგი დ ჭრებად,
”უფალო ჩემო, ესე გიხილე თებზისა მუცელ-
სა შინა“. ხოლო მან რამ იხილა, განკურდა
სიკეთესა მისის, დ არცა მან უწყოდა თუ რამ
არს იგი დ იტუოდა „წარვიდე დ განკუიდო
ესე“. მივიდა მეთვალეთა თანა დ ჭრებად
„გნებავსთ სუიდება ქსი ამის?“ ხოლო მან
ჭრებად—რამ გნებავს, რათა მოგცე შენ ფა-
სი მისი? დ იგი ეტუოდა შენ უწყი რამ
ჭერ არს ფასი. დ ჭრებად მეთვალემან „აღი-
ღე ხუთი დრაჭებანი“. ხოლო იგი ჭირნებდა
თუ უმღერის¹⁾ მისი. დ ჭრებად ესოდენსად

1) გამოსწლა,

2) ეხუმრება, უმღერის, ეთამაშება. მღერა—
თამაშობა; — თამაშა თათრულიდ — სანახავსა პქვან,
ხოლო თამაშობა ქართულიდ მღერა—შექცევათა სახე-
ლია, გარნა ეხეცა განიყოფების ექუსად: ასპარეზობად,
მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, როკვად და შექ-
ცევად. ასპარეზობა არს მხედართა მიერ ანძათა (ამარ-
თულ ძელთა ნიშანში) სროლა ისრისა,—გინა სრევა
(გასროლა) ბურთა, ყვანჭთა (საბურთალო კავი) ცე-
მა, საგანთ სროლა და ეგე კითარნი; მღერა არს ესენი-

მოცემა. სოდო მეთვალე ჰგონებდა თუ მცირედ აღებნდა¹⁾. და ჰრქეად აღიღე ათი დრაჭკანი. და იგი ჰგონებდა თუ ეცინის მას. და დაუკრდა და კიდევ ჰრქეად მეთვალემან — აღიღე ათხეთმეტი. და მან არა რამ მიუგო, არამედ იცინოდა კიდრე ოც-და-ათამდე, და ორმოც-და-ათამდე მისწემდა მას დრაჭკანსა.] მაშინ მიმსყიდველმან განიზრახა თავსა შორის თჯსა, უკეთუმცა არა იყო ქვა ესე დიდისა რამასამე ფასისა, არამცა მოეცა ორმოც-და-ათა დრაჭკანი ჩემდა. დაიწყო დამძიმებად ²⁾ ფასისა

ცა: ჭანდრაკთა (შახმატი), ნარდთა და ყოველთა სამორინოთა (სახლი მენარდეთა) თამაშობა და ოროლთა მრავალ გვარად ბრუნებასაცი — მღერად იტყვან. ფუნდრუკი არს ვაჟთა მიერ სრბოლა (რბენა), ხლდომა (ხლტომა) და სხუანი მრავალნი სახენი საკისკასონი (მსწრაფად მქცევ); ხუნტრუცი არს ქალთა მიერ ფუნდრუკი, ძალისაებრ მათისა; რო კვაარს: სამახა (შუშპარი) ცეკვა, ბუქნა, კოჭა, ფერხული. მგრგვალთა წყობა და რამდენიცა ებანთა (დაფი) და ფანდურთა მიერ იქნებიან; შექცევა არს ესენიცა: კენჭებითა, ჩხირებით, ვეგითა (კოჭითა) და სხვათა ღონისძიებითა ჭმუნვანი განიქარვონ. (საბ. ლექს. 117 გვ.).

ზოგიერთი ვაჟბატონები კიდევ იტყვან სიღარიბეს ქართულის სიტყვიერებისასა?!

¹⁾ ცოტად ეჩვენა, იცოტავაო.

²⁾ ძკრად დაფასება.

მისისა. ხოლო მეთვალემან მოსცა მას სამასი დრაჭკანი, და მაშინ მისცა ქვა იგი მას და წარვიდა ცოლისა მიმართ თვისისა განმსარეულებული. და ჰყითხულა ცოლი თუ რაოდენად განხევიდე? ხოლო მან უჩვენა სამასი დრაჭკანისა თქო და გეცხლი—ესოდენად განვუიდე. | ხოლო კეთილ მორწმუნე დედაკაცი იგი კაცთ მოუკარებასა ღმრთისასა განკურდებოდა და დადიდებდა სახიერებასა მისსა. და ტუოდა ქმარსა თვისსა „ჰელავა ღმერთსა ქრისტიანეთასა რაბამ¹⁾ სახიერას და კაცთ მოუკარე? კითარმედ არა თუ ორმოც-დათი, არამედ უმეტესიცა მოგცა შენ. უწუოდე, უფალო ჩემო, არა არს სხუა იმერთი, არცა ცათა შინა არცა ქუცეკანასა ზედა, არამედ იგი მხოლო არს ღმერთი ქეშმარიტი. | და მიიღო ქმარმანცა ნათლის ღება და იქმნა ქრისტიანე. და დესრულა სატურა მოციქულისა კითარმედ „განწმდების ქმარი ურწმუნო ცოლისაგან მორწმუნისა“. და ამიერიდგან ჰყოფდა გლახაკთა ზედა მოწყელებასა. რამეთუ მოწყელებისა მიერ ჰპოვა ნათელი ქეშმარიტებისა და ადიდებდა ღმერთსა ჩემნსა უკუნითი უკუნისამდე.

¹⁾ თუ რავდენად.

თხრობა ۵.

ვითარმედ გლახაკთ მოწყალე ას წილად
მიიღებს.

უო ვინმე კაცი იტრუსალიმს შინა სა-
ხელით სოზონ, ოომელი კიდოდა შორის ქა-
ლაჭია ჩ ჰეროვდა მოწყალებადსა გლახაკთა
ზედა. ჩ შემთხვა გლახაკი შეჭირული ბული.
განიძარცვა სამოსელი თჯირ დ მისცა მას. დ
მას დაძესა იხილა განვკრება, ვითარმედ
იუოფოდა სახლსა შინა საკურულსა, ფრიად
შეტნიერსა, ოომელსა შინა იუო ნათელი დი-
დი დ ბრწყინვალება თუალთ შეუდგამი. დ ისი-
ლა სამოთხე შეტნიერი ნერგნი, მრავალ რი-
გნი დ პირად-პირადად ხილნი დ უკაზლნი
მრავალ სუნელნი. ხოლო ხენი ირხეოდის.
დ ჭიშოდეს¹⁾ გეთილთა სუნელთა დ ისმოდა
გალობად²⁾ უოკლად შეტნიერი ტებილი დ

¹⁾ (ფშვა—სუნელების დენა).

²⁾ გალობა. შესახებ ამ ლექსისაც, და სხვათა მრა-
ვალთა ისევე უნდა მოკხსენოთ, რადცა წარმო-
ითქვა ჩუტი მიერ შესახებ „კლიტისა“ იხილე მეორე
თავ, გვ. 118, სხოლიო პირუტლი). ჩუტი დიდ ბუნე-
ბოვანი სიტყვერება დაცუა და დაცემული კუალად

დ საწადელი. არა იურ დუმილი გაღობისა, არამედ სასმენელ იქმნებოდა კმარ იგი ჭეშეცანით ცამდე. დ აქა დიდებითა დიდითა მოგიდა კინმე დ ჰრეჭად სოზონს „შემომიდევ

ეცემა ჩუტნისავე დაუდევრობისა და ზარმაცობის შეოხებით: ლექსთა უმნიშვნელ-შეუფერებითთა ხმარებისა გამო უადგილო-ადგილის, საკუთარის ვნებისა გამო, რომ ახლი რამ მეც შევიტანო სიტყვიერებაში. ჭეშმარიტების აღსადგენად განვიზრახეთ თვთოვეულის უმართებულოდ ნახმარს ლექსს მიუწეროთ ხოლმე მთელი შენიშვნა.

მე ვვონებ, რომ ორც ერთ ხალხს არ აქვს განმამსჯვავებითი ლექსი გალობისა, სიმღერისა და მღერისა როგორც ქართველებს. შასახებ მღერისა, მოვიხსენიეთ ზემოთ. გალობა — ანგელობა, ანუ ანგელოზობა ღალადებითი. აი რას სწერს საბა. „გალობად, არს თვისისა-უბრ უკუც სიტყვს კმაც რამე ტკბილად თქმული მაღლობად; გალობა არს ღმერთისა მეტყუტლების მაღლისა ხედვისა მქონებელი იყოს; გალობა არს კმაც ავაჯიანი, შეწყობით აღტყვებული, თვინიერ როლანოისა, გინა ორდანოთა და მწყობრითა; გალობა არს მართლ-მაღიდებლობითა ღმრთის — მეტყუტლება, რომელი თავთ თვისით იწვრთიდეს შეწირვასა, ღუთისასა და სულისა სრულისა კსიმე. სიმღერა — მსოფლიო კმოანებათა, სხვა და სხვა კმითა. საბ. 402 გვ. მღერა ზემოდ არის ამოწერილი. უნდა ვიმედეულებდეთ რომ ჩუტნი ახალგაზდა მოღვაწენი კეთილად ისარგებლებენ ძუტლის წიგნების მარცვლ-წყობილებითა და აუხვევენ გზასა ლექსთა უალაგო-ალაგ უმნიშვნელო ხმარებასას: „ეკკლესიაში კარგად იმღერეს“, „მშვენიერი სასულიერო სიმღერები“, „ლოტბარობით იმღერეს ეკკლესიაში“, „სიმღერა იგალობეს“ და სხვანი მრავალი. სიმღერა — გულის სიმთ უღერაა და არა გონებისა; გალობა — გონების აღამიღლებს უზენაესისადმი, სიმღერა ათროთოლებს გულსა და გრძნობასა მისსა.

რედ.

მე!“ და მივიდენ გოდოლისა¹⁾ მიმართ ოქროდასა
და უჩვენა მას სხვანი ბჟენი განსმელი²⁾, და
პალატი დიდად შეტენიერი³⁾ და ძრო ფასითა
მარგალიტითა შემკობილი. და მასებისა რა
მენ სოზონ, აჯა გამოვიდეს პალატით კაცნი,
გითარცა ოქროს ფრთხოსანი, მზეებრ მნა-
თობი და ეპირათ კიდობანი ოქროდასა. და
ჩასდგეს პირის-პირს წინაშე სოზონისა.
და ელოდენ უდიდებულესია კისმე მოს-
ლოვად. და აჯა გაცი უღველად შეტენიერი და უღ-
ვლად დიდებული, გამობრწყინდა და ურიცხუნი
ანგელოზნი მის თანა. და უბრძანა დიდებულ-
მან მან ანგელოზთა „უჩვენეთ კაცსა ამას,
ორმელმან შეიწყელა გლასაკი!“ და განალეს
კიდობანი იგი ოქროდას და აღმოიღებდეს

¹⁾ მაღალი კოშკი.

²⁾ გაღებული.

³⁾ ანუ ლამაზი. ესეცა განიყოფების ესრედ.: კეკლუ-
ცი არს სახე უკლებელად განწყობილი, კეკელა—სი-
ლამაზესა და მოხდომისა მცდელი; მწყაზარი—სილამა-
ზეზედ მეტი, გინა სიკეთეზედა. შუბნიერი—ყოვლის
კეთილით შეფერებული; სანდომი—კეკლუცი იყოს თუ
დუხჭირი (აკ თვალადი) მაშინაც კაცს სანახავად ია-
მოს, სახნიერი—რომელსა ყოველი სახე გაწყობალი
ჰქონდეს და საქმითაც კეთილის საქმის მომენტი იყოს;
ჰაეროვანი—რომელ ხატ-კეთილობით მოხდომილი
იყოს. საბ. 157 გვ.

პერანგთა დ შესამოსელთა სამეუფოთა. დ ჭრქუამ სოზონს ომელი იგი უბრძანებდა ანგელოზთა „იცნობაა ამათ?“. სოლო მან ჭრქუამ — არა ღირს კარ აჩრდილთაცა მათთა-ცა მისედუად, უფალო! სოლო იგი ეტუოდა „აყა ისილე, რამოდენი კეთილნი განგიმზადე შენ, ერთისა თჯს საბლარდნელისა¹⁾“, ომე-ლი შემმოსე მე, რაჟამს²⁾ მისილე შიშუტლი. წარებედ უბშტ დ ჭუოფდე ეგრეთვე, დ მო-გეგოს შენ ას წილად დ ცხოვრებად საუკუნო დაიმკვდრო!“ დ მიუგო შიშით დ სისარუ-ლით შეპურობილმან სოზონმან „უფალო ჩე-მო! ესრეთ არსა, ომელნი ჭუოფენ წყალო-ბამსა გლახაკთასა?“ სოლო მან ჭრქუამ, ცე! რათა უოგებმან, ომელმან ჭუოს წყალობად, ას წილად მიიღოს დ ცხოვრებად საუკუნო დაიმკვდროს“. ამასცა გეტუკ შენ, სოზონ! ნუ შეინანებ მოწყალებისა თჯს, ნუმცა აუგუტლ-ოებ გლახაკსა, რათა არა სასუიდლისა წილ-ორგეცი ზღვება მიიღო!“ სოლო ესე რამ ეს-

¹⁾ შესამოსელი.

²⁾ როდესაც.

მა სოჭონს, განიფრთხო ჩექებისაგან დ
განკრდებოდა თავსა შორის თჯსსა საკრე-
ლისა ამის სილკსა თჯს. დ ჭირდება, ვინათვან
ერეთ მეტყოდა მე უფალი ჩემი, მეორეცა
ესე სამოსელი ჩემი გლახაგსა მივსცეს დ მეო-
რესაცა დამეს იგივე ჩექებად ისილა. სოლო
ალსდგად ხეალისად დ უოველი | მონაგები თჯი
განუყო გლახაკთა დ იჯმნა სრულიად სოფლისა-
გან დ იჯმნა მონაზონ დ ალასრულა ბრძანებად
უფლისად ვითარმედ „უკეთუ გნებავს სრულ
ყოფად, განყიდე მონაგები შენი დ მიეც
გლახაკთა, რათა გაქუნდეს საუნჯე ცათა
შინა; დ ალიღე ჯრარი დ შემომი-
ლეგ; მე¹⁾ დ დაჭუება დღენი ცხოვრებისა
თჯისანი უდაბნოსა შინა მრავლითა მოღვა-
წებითა. სათნო ეურ დმერთსა, დ, სრულსა
საზომსა²⁾ მიწევნილმან, მოიღო დმრთისა-
გან მადლი სასწაულთ მოქმედებისა. დ ნიშებ
შემოსილი, პატიოსანი სოჭონ, უფლისად მი-
მართ მიიღებალა. დ ნანდკლევე ას წილად მი-
ღო სასუიდელი ჭუჭლის საჭმისა თჯისა დ

¹⁾ ლუკ. 18, 22.

²⁾ საზომისა შესატყობი.

ცხოვრებად საუკუნო დაიმკვდრა. ხოლო მსმენების ამის საკურკელებისანი გვიაძლეთ ჩუტნცა, მმანო, სათნოებას მისსა და გიქმოდეთ ძალისაებრ ჩუტნისა გლახაკთა ზედა მოწესლებას, რათა ჩუტნცა შეწესლებულ კიჭმნეთ ღმრთისა მიერ. ერთისა წილ ასი მოგიღოთ და ცხოვრებად საუკუნო დაკიმკვდროთ და კადიდებდეთ წყალობისა ჯერმჩინებელსა მამასა და მხოლოდ შობილსა ძესა და ცხობელს მუოველსა სულსა წმიდასა, რომელსა შუტნის უოველი დიდებად პატივი და თაუეანის ცემა აწ დარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

დასასრული მესამე თავსა.

იმედება და მალე გამოვა მერთხე თავი „სინანულისათვს განათლებულთა და დმობიერებისა“.

301/36

